# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი

ქუთაისი
**2024**

შინაარსი


**მუხლი 1.** რეგულირების სფერო ..... 3

**მუხლი 2.** ტერმინთა განმარტება ..... 3

**მუხლი 3.** დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები ..... 3

**მუხლი 4.** პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტი ..... 4

**მუხლი 5.** პროფესიული სტუფენტის შეფასების პროცესი ..... 5

**მუხლი 6.** შეუსრულებელი კომპლექსური დავალების აღდგენა ..... 5

**მუხლი 7.** განმეორებითი შეფასება ..... 6

**მუხლი 8.** პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები ..... 6

**მუხლი 9.** პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ..... 7

**მუხლი 10.** საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ..... 8

**მუხლი 11.** დადასტურების კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება ..... 8

**მუხლი 12.** დადასტურების კომისია ..... 8

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემა და პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურა განსაზღვრულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისი №48./ნ ბრძანებით.

2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემასა და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

2. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

**ა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულები** – „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები: ,,კომუნიკაცია ქართულ ენაზე", ,,მათემატიკური წიგნიერება", ,,მოქალაქეობა", ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები", ,,ესთეტიკა", ,, სპორტი" და ,,მეწარმეობა",;

**ბ) პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო (შემდგომში – პორტფოლიო)** – პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით;

**გ) კომპლექსური დავალება** - შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებით;

**დ) თემა** – ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რომლის˜ფარგლებშიც, კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა;

**ე) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია** – შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება;

**ვ) ვერიფიკაცია** – დადასტურების კომისიის მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.

**მუხლი 3. დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები**

1. დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.

2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა იყოს:

ა) ვალიდური;

ბ) სანდო;

გ) გამჭვირვალე;

დ) სამართლიანი;

ე) ობიექტური.

3. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესსა და შეფასების მტკოცებულებებს.

**მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტი**

1. ინტეგრირებული ზოგადი მოდული სტრუქტურულად შედგება თემებისგან.

2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან მიმართებით, პროფესიული სტუდენტის მიღწევების ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება.

3. კომპლექსურ დავალებას პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიმუშავებს მოდულით განსაზღვრული თემების ფარგლებში. ამასთან, კომპლექსური დავალებებით უნდა დამუშავდეს ამ თემით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი.

4. კომპლექსური დავალება, რომლითაც შეფასდება პროფესიული სტუდენტი, აუცილებლად უნდა იყოს კომპლექსური კონტექსტის. შესაძლებელია ერთი კომპლექსური დავალებით რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასება.

5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შესაფასებელი კომპლექსური დავალების თემა/შინაარსი შეიმუშაოს ისე, რომ პროფესიულ სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა გაანალიზოს საკითხი, განაზოგადოს მისი სტრუქტურა, აღიქვას საკითხი სხვადასხვა ჭრილიდან, წამოაყენოს ჰიპოთეზა.

6. პროფესიული განათლების მასწავლებელი კომპლექსური დავალების პირობას ადგენს იმგვარად, რომ წარმოჩნდეს პროფესიული სტუდენტის როგორც თეორიული ცოდნა, ასევე მისი უნარი მიღებული ცოდნა გამოიყენოს რეალურ ცხოვრებაში და დაუკავშიროს სხვა საგნობრივ საკითხებს.

7. ინტეგრირებული ზოგადი მოდულისთვის შეფასების ინსტრუმენტს პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიმუშავებს წინამდებარე წესის №1 დანართის შესაბამისად.

8. კომპლექსურ დავალებაში მიეთითება: შესაბამისი ინტეგრირებული ზოგადი მოდულისა და თემის/თემატური ბლოკის დასახელება; კომპლექსური დავალების შინაარსი/თემა; კომპლექსური დავალების ნომერი, შესაფასებელი სწავლის შედეგები, კომპლექსური დავალების პირობა, კომპლექსური დავალების მიცემის თარიღი და შესრულების ვადა; პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი.

9. კომპლექსური დავალება რომლითაც ფასდება პროფესიული სტუდენტი გადის ვალიდაციას. ამასთან, კომპლექსური დავალება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შეფასების თარიღის თაობაზე.

10. კომპლექსური დავალება შესაძლებელია შესრულდეს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების ფარგლებში.

**მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი**

1. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.
2. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებას ეძლევა განმავითარებელი შეფასება. ყოველი კომპლექსური დავალება ფასდება ერთიანად, კომპლექსური დავალების თემის/შინაარსის კონტექსტში, ამ წესზე თანდართული ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ტაქსონომის (წინამდებარე წესის №2 დანართის) გამოყენებით და პროფესიული განათლების მასწავლებელი გასცემს უკუკავშირს.
4. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
5. განმსაზღვრელი შეფასება ეძლევა პროფესიული სტუდენტის მიღწევას, შესაფასებელ სწავლის შედეგებთან მიმართებით, შესრულებული კომპლექსური დავალებებისა და ამ დავალებების საფუძველზე მიღებული განმავითარებელი შეფასებების გათვალისწინებით, მოდულით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების დასრულების შემდეგ, გარდა წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტისა.
6. მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგებთან მიმართებით პროფესიული სტუდენტის მიღწევას განმსაზღვრელი შეფასება ეძლევა ყველა მიმართულებისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების ამოწურვის შემდეგ.
7. განმსაზღვრელი შეფასება ორი სახისაა:

ა. სწავლის შედეგი მიღწეულია

ბ. სწავლის შედეგი მიუღწეველია

8. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.
9. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ტაქსონომიის შესაბამისად. სხვა შემთხვევაში სწავლის შედეგი მიუღწეველია.
10. თუ კომპლექსური დავალება სრულდება საკონტაქტო საათების ფარგლებში, პროფესიული განათლების მასწავლებელი წინასწარ აცნობებს პროფესიულ სტუდენტს შეფასების თარიღისა და შესაფასებელი სწავლის შედეგების შესახებ (თემის ფარგლებში), შეფასებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.

**მუხლი 6. შეუსრულებელი კომპლექსური დავალების აღდგენა**

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია აღადგინოს შეუსრულებელი კომპლექსური დავალება.
2. პროფესიული სტუდენტი, შეუსრულებელი კომპლექსური დავალების აღდგენის თაობაზე, პროფესიული განათლების მასწავლებელს მიმართავს, ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული თემისთვის განსაზღვრული ვადის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში.
3. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული თემის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი არ არის უფლებამოსილი აღადგინოს ორზე მეტი კომპლექსური

დავალება. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული თემის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აღადგინოს ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც შესრულდა საკონტაქტო საათების ფარგლებში.

4. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში, არასაკონტაქტო საათებში შესასრულებელი კომპლექსური დავალების აღდგენისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებელი განსაზღვრავს დამატებით ვადას.

**მუხლი 7. განმეორებითი შეფასება**

1. თუ პროფესიულ სტუდენტს შესრულებული აქვს ყველა კოპლექსური დავალება მაგრამ სწავლის შედეგი მიუღწეველია, ის უფლებამოსილია, განმსაზღვრელი შეფასების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს პროფესიული განათლების მასწავლებელს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასება.

2. განმეორებითი შფასების ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ასრულებს იმ კოპლექსურ დავალებას, რომელიც მიემართება მიუღწეველი სწავლის შედეგის მიღწევისკენ.

**მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები**

1. სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალებების შესაბამისად ორგანიზებული პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მასალები თავსდება პროფესიული სტუდენტის ელექტრონულ პორტფოლიოში.

2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის ელექტრონულ პორტფოლიოს აწარმოებს შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი („მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის ფარგლებში - შესაბამისი მიმართულებების მასწავლებლები).

3. პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული პორტფოლიოს წარმოებას ზედამხედველობს პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური.

4. განათლების მართვის სისტემის მიერ შესაბამისი ელექტრონული პორტალის უზრუნველყოფამდე, პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიო იქმნება ელექტრონულად. პორტფოლიოს შექმნისა და განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის (ამ მუხლის მე-9-მე-13 პუნქტების შესაბამისად) ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი.

5. პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა). პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

გ) ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სახელწოდება;

დ) თემის დასახელება;

ე) კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება;

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი;

თ) კომპლექსური დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.

6. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, კომპლექსური დავალების პროფესიული სტუდენტისთვის მიცემიდან, 5 სამუშაო დღის ვადაში განათავსოს

პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში შესაფასებელი კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი.

7. კომპლექსური დავალების შესრულებისთვის განკუთვნილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში განათავსებს მის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულებას, შესრულებული კომპლექსური დავალების ნომრის, შესრულების თარიღის, შეფასებისა და მიცემული უკუკავშირის მითითებით.

8. პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო ხელმისაწვდომია მხოლოდ მოდულის განმახორციელებლისთვის.

9. პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ საკუთარი პორტფოლიო.

10. პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის უფროსის, მხარდაჭერის სპეციალისტისა და შესაბამისი მოდულის დადასტურების კომისიის წევრებისთვის ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში.

11. პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს წარმოების უფლება გამორიცხავს პორტფოლიოში განთავსებული ინფორმაციის შეცვლის/გაუქმების შესაძლებლობას, პორტფოლიოს მწარმოებლისგან, ერთპიროვნულად.

12. პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში ცვლილების/დამატების შეტანა დასაშვებია მხოლოდ პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის უფროსის თანხმობით, რომელიც გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარდგენისა და ფაქტობრივი მდგომარეობების შეფასების შემდეგ.

13. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს საკუთარ პორტფოლიოში შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, მცდარი ინფორმაციის შესწორება/ამოღება, რისთვისაც მიმართავს პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურს, საჭიროების შემთხვევაში კი - გენერალურ დირექტორს.

14. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. 5 წლის გასვლის შემდეგ დაარქივებული მონაცემები იშლება.

**მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია**

1. იმ შემთხვევაში თუ გაცემულია განმსაზღვრელი შეფასება ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევის შესახებ, იწყება ვერიფიკაციის პროცესი, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის (შემდეგში - დადასტურების კომისიის) მიერ.

2. ვერიფიკაცია არის ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება, ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.

3. დადასტურების კომისია ვერიფიკაციის პროცესს იწყებს ინტეგრირებული მოდულის ფარგლებში, ყველა სწავლის შედეგის შეფასების პროცესის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღისა.

4. ვერიფიკაციის დაწყების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება პროფესიულ სტუდენტს.

5. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის შეფასების სისტემა ვერიფიცირებულია თუ ის არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური და ამასთან, აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის №48/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებს.

**მუხლი 10. საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება**

1. ვერიფიკაციის პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, ვერიფიკაციის შედეგებისა და პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე, დადასტურების კომისია ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონეს და იღებს ერთ- ერთ გადაწყვეტილებას:

ა. პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;

ბ. პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება;

2. ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება, თუ პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. დადასტურების კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

**მუხლი 11. დადასტურების კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება**

1. დადასტურების მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია მიმართოს სკოლის გენერალურ დირექტორს, წერილობითი საჩივრით, დადასტურების კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, არაუგვიანეს დადასტურების კომისიის გადაწყვეტილების გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. სკოლის გენერალური დირექტორი, პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განხილვის მიზნით, ქმნის პრეტენზიის განხილვის კომისიას და განსაზღვრავს მისი საქმიანობის წესს.

3. პრეტენზიის განმხილველი კომისია განიხილავს საჩივარს, საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში და იღებს საოქმო გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული,

**მუხლი 12. დადასტურების კომისია**

1. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია იქმნება სკოლის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. დადასტურების კომისია შედგება ხუთი წევრისაგან. ორი წევრი ინიშნება სკოლის შემადგენლობიდან. სამი წევრი ინიშნება სკოლის პარტნიორი ორგანიზაციებიდან.

3. დადასტურების კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს სკოლის გენერალური დირექტორი.

4. დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. ამასთან, კომისიის წევრთა უმრავლესობას არ უნდა ქმნიდნენ კომისიის წევრები სკოლის წარმომადგენლობიდან.

5. დადასტურების კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია, მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.